

შპს სიო

შეფასების ინსტრუქცია



## **მუხლი 1 . ზოგადი დებულებები**

1. შეფასების ინსტრუქცია განსაზღვრავს შპს სიო საზოგადოებრივი კოლეჯის(შემდგომში კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) შესაფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესს და მტკიცებულებებისადმი მოთხოვნებს.

## **მუხლი 2. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს .

## **მუხლი 3. შეფასების პრინციპები**

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდურობას;
- სანდოობას;
- მოქნილობას;
- სიმარტივეს;
- მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

### **1.1 ვალიდურობა**

- ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.
- შეფასება ვალიდურია, როცა:
  - პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს.
  - შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები. მაგალითად პრაქტიკული უნარის შესამოწმებლად ოფის მენეჯერისთვის ოქმის ან CV-ს შედგენა ვალიდური ინსტრუმენტია, თუმცა CV-ის ან ოქმის შედგენის წესის გამოკითხვა პრაქტიკული უნარის შესაფასებლად არ არის ვალიდურია;
  - პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები;
  - საშუალებას აძლევს ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნეს სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილებები ნებისმიერ სტუდენტთან მიმართებით.

### **1.2. სანდოობა**

სანდოა შეფასება, თუ

- შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს სტუდენტის სწავლის შედეგებს.
- გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

### **1.3. მოქნილობა**

მოქნილი შეფასება იძლევა საშუალებას პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები და შეფასების ადგილი, თუმცა გამორიცხავს რომელიმე სტუდენტისათვის პრივილეგიების მინიჭებას.

### **1.4. სიმარტივე**

შეფასების სიმარტივე გულისხმობს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ადვილად გასაგებია და მისი გამოყენება შეუძლია პროცესში ჩართულ ყველა პირს და ყველა სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმის მისი შინაარსი. სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ მტკიცებულებებიდან რომელიმე იყოს უგულვებელყოფილი.

### **1.5. მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

მიუკერძოებელი და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება

ნებისმიერი სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სტუდენტისათვის .

2. მნიშვნელობა არ აქვს შეფასება ხორციელდება წერთი გამოცდის, ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, კომპიუტერული ტესტისა თუ სხვა საშუალებებით, პრინციპები მაინც იგივე რჩება.

#### **მუხლი 4. შეფასების ტიპები და მიმართულებები**

1. გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს მოდულური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა ის არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაზე. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

4. **შეფასების მიმართულებებია:**

- პროცესზე დაკვირვება;
- პროდუქტი /შედეგი;
- გამოკითხვა(აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).

##### **4.1. პროცესზე დაკვირვება**

პროფესიული განათლების მასწავლებელი აკვირდება პროფესიული სტუდენტის მუშაობას პროფესიული სტანდარტით (პროგრამით/მოდულით) განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სახელოსნოში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც პროფესიული პირი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა. პროფესიული განათლების მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს პროფესიული პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

##### **4.2. პროდუქტის / შედეგის შეფასება**

ეს მიმართულება გულისხმობს არა მარტო პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი „პროდუქტის“ შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან პროფესიული სტუდენტის შრომით დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის“ შეფასებასაც, როგორცაა პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული ტური, შექმნილი პროექტი,

**გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარების შეფასება)**

გამოკითხვა ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი.

სტუდენტის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებზე დაყრდნობით, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს და გადაწყვიტოს, აითვისა თუ არა პროფესიულმა სტუდენტმა მოდულის სწავლის შედეგებით მოთხოვნილი ცოდნა და უნარები.

5.წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

## მუხლი 5. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი

1. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წაროდგენილ შეფასების ინსტრუმენტში აუცილებლად უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
  - დაწესებულების დასახელება;
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
  - საფეხური;
  - მოდულის დასახელება;
  - სწავლის შედეგი/შედეგები;
  - შეფასების კრიტერიუმები;
  - შეფასების ინსტრუმენტის დასახელება;
  - დავალების აღწერა და დავალების შესრულების ინსტრუქცია, რომელიც იქნება პროფესიული სტუდენტისათვის გასაგები;
  - შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
  - სწავლის შედეგის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულების დასახელება;
  - დამატებითი პირობები(მაგალითად,როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა პროფესიულ სტუდენტებს თანამშრომლობა და სხვა)
  - პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი;
  - პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;
  - დავალების შინაარსი:
    - გამოკითხვის მიმართულებაში ტესტების გამოყენების შემთხვევაში: ა) განისაზღვროს ტესტის შევსების ინსტრუქცია; ბ) მოხდეს თითოეული ტესტური დავალებისთვის პირობის განსაზღვრა; გ) შერჩეული იქნას ერთგვაროვანი დისტრაქტორები, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს პასუხის გამოცნობის ალბათობას; დ) ტესტში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები;
    - პროცესზე დაკვირვების მიმართულებისთვის - აუცილებლად შემუშავდეს და ინსტრუმენტში ჩაიდოს პრაქტიკული დავალება/ქეისი/სიმულაციის შინაარსი; არ მოხდეს შეფასების კრიტერიუმების პირდაპირ გადმოტანა ჩეკლისტად; მტკიცებულების შექმნის მიზნით, შემუშავდეს განსაზღვრული პროცედურა;
    - პროდუქტი/შედეგის მიმართულებისთვის - აუცილებლად განისაზღვროს პრაქტიკული დავალება და შემუშავდეს დავალების შემოწმების კრიტერიუმები
  - შეფასების „ჩეკლისტი“-აუცილებელია შეფასების კრიტერიუმები დაიშალოს ქვეკრიტერიუმებად შემდგომადგვარად ;
    - შეფასების სქემა - სწავლის შედეგის დადასტურების პირობები;
    - ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ(დეტალურად მიეთითება რომელი მოდულის წინაპირობაა აღნიშნული მოდული და რამდენ კვირაში/თვეში მოხდება გადაბარება);
    - აღნიშვნა : შედეგი დადასტურდა/ არ დადასტურდა;
    - პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა;
    - პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;
    - შეფასების ჩატარების თარიღი;

**მუხლი 6. შეფასების ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკაცია**  
**კოლეჯის ადმინისტრირება პროფესიული მასწავლებლის პროფესიონალიზმის გათვალისწინებით**  
**სრულდამოუკიდებლობას აძლევს მასწავლებლებს ვერიფიკაციის პროცესში**

**მუხლი 7. შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა**

1. პროფესიული მასწავლებლის მიერ, შეფასების მტკიცებულებებზე დაყრდნობით, უწყისის შევსების შემდეგ პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა შეფასების შედეგებს.

**მუხლი 8. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა**

1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება არასამართლიანად ჩათვალა, მან გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.

2. სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის ხელმძღვანელობით პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის /სწავლის შედეგის განმხორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. მოხდება მტკიცებულების/მტკიცებულებების განხილვა. შეუთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა არანაკლებ 2 შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი. ასევე დაწესებულების წარმომადგენელი, დირექტორის გადაწყვეტილებით. კომისია უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. კომისიის გადაწყვეტილება შეძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

**მუხლი 9. მოთხოვნები მტკიცებულების მიმართ**

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს **ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი** და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.

**მტკიცებულების საკმარისობა** - მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

**მტკიცებულების ვალიდურობა** - ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.

**მტკიცებულების ავთენტურობა** - მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.

**მტკიცებულების ტრანსფერულობა** - მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმების შესაბამისად შეძლებს არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.

ცხრ. 1. შეფასების ინსტრუმენტის ადეკვატურობა შეფასების მიმართულებებთან

შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების მიმართულება	პროცესზე დაკვირვება	პროდუქტის / შედეგის შეფასება	გამოკითხვა
ტესტი				
„ჭეშმარიტია/მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები				
მტკიცებულების / მიზეზის შემცველი კითხვები (მრავალი არჩევითი პასუხით)				
გამოტოვებული სიტყვების ჩასმა				
კითხვები – შესაბამისობის დადგენა				
ბადისებრი შეკითხვები				
კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით				
მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები				
კითხვები შეზღუდული არჩევანით				
წერითი დავალება (წერითი ნაშრომი)				
შემთხვევის შესწავლა (Case Study)				
კითხვები ღია დაბოლოებით				
ზეპირი შეკითხვები				
სტრუქტურირებული შეკითხვები				
პროექტი				
პროფესიული განხილვები				
პრაქტიკული დავალება				
როლური თამაში				
სიმულაცია				

- მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან შესაბამისი პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე/მობილობით სხვა დაწესებულებაში გადასვლამდე შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიაღწეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.

მუხლი 10. შეფასების უწყისის ფორმა და შევსების წესი

შპს სიო

დასახელება:

მოდული:

კრედიტების რაოდენობა:

სწავლის შედეგები	პროფესიულ სტუდენტთა სია								
1									
2									
3									

მოდულის განმახორციელებელი პირის/შემფასებლ(ებ)ის ხელმოწერა:-----

2.სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.